

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 19.11.2025 № 235 ბრძანებით

მოდიფიცირებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 26.02.2026 № 61 ბრძანებით



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ): გრიგოლ ფრანგიშვილი, დავით ბანცაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: T: 0322 20 54 24

e-mail: [info.rtc.2016@gmail.com](mailto:info.rtc.2016@gmail.com)

თბილისი  
2026 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა ; Power supply of railways;
2. სარეგისტრაციო ნომერი - 07.18.1
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში; Secondary Vocational Qualification in Mechanics of power supply of railroads
4. მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.
5. კვალიფიკაციის დონე  
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე
6. კლასიფიკაციის აღწერა
  - 6.1 ISCED კოდი და აღწერა: 0713 ელექტრობა და ენერჯია – *“შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტროგაყვანილობისა და ელექტრომონოწილობების დაყენებას, შენარჩუნებას, შეკეთებას და ხარვეზის დიაგნოსტირებას. შეისწავლის თბური და ელექტრული ენერჯიების წარმოების, გადაცემის, განაწილების და სხვა ენერჯიებად გარდაქმნის ტექნოლოგიებს, ენერჯეტიკული დანადგარების და მონოწილობების მონტაჟს, გამართვას, გამოცდას და ექსპლუატაციას. ენერჯეტიკის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ასპექტებს, ენერჯიის არატრადიციულ წყაროებს და ენერჯეტიკულ ტექნოლოგიებს.”*
  - 6.2 ISCO კოდი: 7412 ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები; 7413 მონტიორები
  - 6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 43.21.0 - ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები
7. დასაქმების შესაძლებლობები - რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსს შეუძლია დასაქმდეს ელექტრო სადგურებში, წევისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურებში, ინდუსტრიულ საწარმოებში, კერძო სექტორში, რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.
8. დაშვების წინაპირობა
  - 8.1 სრული ზოგადი განათლება;

8.2 საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

**9. სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო
2. ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები
3. გაზომოს ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრები
4. გაუწიოს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარებს ტექნიკური მომსახურება
5. ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი
6. ჩაატაროს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი.

**10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა**

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	საკვანძო კომპეტენციები									
			მშობლიურ ენაზე	ენაზე	მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო	აიორლოთი	დამოუკიდებლად	პიროვნებათმორისი	მინარმოება	კულტურული		
სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<ul style="list-style-type: none"> <li>• უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას;</li> <li>• იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს;</li> <li>• იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის შრომის შინაგანაწესი;</li> <li>• იცის ეთიკისა და ქცევის კოდექსი;</li> <li>• იცის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები;</li> <li>• იცის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;</li> </ul>	✓		✓		✓					

	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცავს გარემოს დაცვით ნორმებს;</li> <li>• იცავს პროფესიულ ეთიკას;</li> <li>• უზრუნველყოფს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებას საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში;</li> <li>• უზრუნველყოფს საკუთარი და მასზე დაქვემდებარებული პირების სიცოცხლის უსაფრთხოებას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემა;</li> <li>• იცის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟისა და სწავლების ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კატალოგი;</li> <li>• იცის მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები;</li> <li>• იცის ელექტრო უსაფრთხოების წესები;</li> <li>• იცის ხანმარუსაფრთხოების წესები.</li> </ul>									
<p>რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საზღვრავს მატარებლების გაფრთხილების გაცემის წინაპირობას.</li> <li>• გასცემს მატარებლების გაფრთხილებას;</li> <li>• აფორმირებს სამატარებლო განწესს.</li> <li>• ატარებს უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟს;</li> <li>• აწარმოებს დარღვევების რეგისტრაციას;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;</li> <li>• იცის მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის რკინიგზის ელექტროდისპეტჩერის ინსტრუქცია;</li> </ul>	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> <li>• აწარმოებს ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის გაფრთხილების აღრიცხვისა და გაცემის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ტექნოლოგიური ფანჯრების შეთანხმების და გამოყოფის ინტრუქცია;</li> <li>• იცის იზოლირებული ასაღები კოშკურიდან საკონტაქტო ქსელზე სამუშაოთა წარმოებისას მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის მარცხის, ავარიის ლიანდაგიდან აცდენის ლიკვიდაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტრომეურნეობის მოწყობილობებში აღმოჩენილი დარღვევების რემონტის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ინსტრუქცია ელექტროფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის დაზიანებათა აღდგენის წესის შესახებ;</li> <li>• იცის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემა;</li> </ul>									
--	---	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

<p>რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ახორციელებს წვევისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების მოწყობილობა-დანადგარებზე გაზომვით სამუშაოებს;</li> <li>• ახორციელებს საკონტაქტო ქსელის პარამეტრების გაზომვით სამუშაოებს;</li> <li>• ახორციელებს მაღალი და დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების პარამეტრების გაზომვის სამუშაოებს;</li> <li>• ახორციელებს დამცავი საშუალებების გაზომვას;</li> <li>• მონაწილეობას იღებს მოწყობილობების კომისიურ დათვალიერებებში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;</li> <li>• იცის მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტროტექნიკის საფუძვლები;</li> <li>• იცის ელექტრულდანადგართა მოწყობის ზოგადი წესები;</li> <li>• იცის საკონტაქტო ქსელის, წვევისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების მოწყობილობა-დანადგარების სქემები;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელისა და ავტობლოკირების ელექტრომომარაგების მოწყობილობათა ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტენიკის წესები;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ტექნიკური</li> </ul>	✓		✓		✓			
--	--	--	---	--	---	--	---	--	--	--

		<p>მომსახურებისა და რემონტის წესები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ელექტროფიცირებული რკინიგზის წვევის ქვესადგურებისა და სასექციო პოსტების მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტრომეურნეობის მოწყობილობებში აღმოჩენილი დარღვევების რემონტის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ინსტრუქცია ელექტროფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის დაზიანებათა აღდგენის წესის შესახებ;</li> <li>• იცის რკინიგზის საკონტაქტო ქსელის რაიონის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემა;</li> <li>• იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კატალოგი;</li> </ul>												
რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურება	<ul style="list-style-type: none"> <li>• აწარმოებს შემოვლა - დათვალიერებას;</li> <li>• ამზადებს სამუშაო ადგილს;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;</li> </ul>	✓		✓	✓								

	<ul style="list-style-type: none"> <li>• აწარმოებს საკონტაქტო ქსელის ტექნიკურ მომსახურებას;</li> <li>• აწარმოებს წვეის ქვესადგურების ტექნიკურ მომსახურებას;</li> <li>• აწარმოებს ელექტრომომარაგების რაიონის ტექნიკური მომსახურებას;</li> <li>• ახორციელებს კონტროლს სხვა ორგანიზაციების მიერ სამუშაოთა შესრულებისას;</li> <li>• ირჩევს სამუშაო მასალებს, ინსტრუმენტებს და დამცავ საშუალებებს ტექნიკური მომსახურებისას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ტექნოლოგიური ფანჯრების შეთანხმების და გამოყოფის ინტრუქცია;</li> <li>• იცის იზოლირებული ასაღები კომპურიდან საკონტაქტო ქსელზე სამუშაოთა წარმოებისას მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის წესები;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის წვეის ქვესადგურებისა და სასექციო პოსტების მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სცბ-ს ელექტრომომარაგების მოწყობილობათა ტექნიკური</li> </ul>									
--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<p>მომსახურებისა და რემონტის ინსტრუქცია;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის საკონტაქტო ქსელის ელექტრომონტიორის და ელექტრომექანიკოსის მომზადების პროგრამა და ლექციების კონსპექტი;</li> <li>• იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კატალოგი;</li> </ul>									
<p>რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გეგმავს ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტს;</li> <li>• აწარმოებს საკონტაქტო ქსელის მიმდინარე რემონტს;</li> <li>• აწარმოებს წვევის ქვესადგურების მიმდინარე რემონტს;</li> <li>• აწარმოებს ელექტრომომარაგების რაიონის მიმდინარე რემონტს;</li> <li>• ირჩევს სამუშაო მასალებს, ინსტრუმენტებს და დამცავ საშუალებებს ელექტრომომარაგების მოწყობილობა -</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;</li> <li>• იცის მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ტექნოლოგიური ფანჯრების შეთანხმების და გამოყოფის ინტრუქცია;</li> <li>• იცის იზოლირებული ასაღები კომპურიდან საკონტაქტო ქსელზე სამუშაოთა წარმოებისას მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია;</li> </ul>	✓		✓		✓				

	<p>დანადგარების მიმდინარე რემონტისას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის მარცხის, ავარიის ლიანდაგიდან აცდენის ლიკვიდაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელისა და ავტობლოკირების ელექტრომომარაგების მოწყობილობათა ექსლპუატაციისას უსაფრთხოების ტენიკის წესები;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის წესები;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის წვეის ქვესადგურებისა და სასექციო პოსტების მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტრომეურნეობის მოწყობილობებში აღმოჩენილი დარღვევების რემონტის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ინსტრუქცია ელექტროფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო</li> </ul>									
--	---	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<p>ქსელის დაზიანებათა აღდგენის წესის შესახებ;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის რკინიგზის საკონტაქტო ქსელის რაიონის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის რკინიგზის წვევის ქვესადგურის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სგბ-ს ელექტრომომარაგების მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემა;</li> <li>• იცის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟისა და სწავლების ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კატალოგი;</li> </ul>									
<p>რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაწილეობს სადეფექტო აქტის შედგენაში</li> <li>• ირჩევს სამუშაო მასალებს, ინსტრუმენტებს და დამცავ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;</li> </ul>	✓		✓		✓				

	<p>საშუალებებს კაპიტალური რემონტისას;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აწარმოებს საკონტაქტო ქსელის კაპიტალურ რემონტს;</li> <li>• აწარმოებს წვევის ქვესადგურების კაპიტალურ რემონტს;</li> <li>• აწარმოებს ელექტრომომარაგების რაიონის კაპიტალურ რემონტს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ტექნოლოგიური ფანჯრების შეთანხმების და გამოყოფის ინტრუქცია;</li> <li>• იცის იზოლირებული ასაღები კომპურიდან საკონტაქტო ქსელზე სამუშაოთა წარმოებისას მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის მარცხის, ავარიის ლიანდაგიდან აცდენის ლიკვიდაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელისა და ავტობლოკირების ელექტრომომარაგების მოწყობილობათა ექსლპუატაციისას უსაფრთხოების ტენიკის წესები;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ტექნიკური</li> </ul>									
--	--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<p>მომსახურებისა და რემონტის წესები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ელექტროფიცირებული რკინიგზის წვევის ქვესადგურებისა და სასექციო პოსტების მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტრომეურნეობის მოწყობილობებში აღმოჩენილი დარღვევების რემონტის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ინსტრუქცია ელექტროფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის დაზიანებათა აღდგენის წესის შესახებ;</li> <li>• იცის რკინიგზის საკონტაქტო ქსელის რაიონის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის რკინიგზის წვევის ქვესადგურის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სგბ-ს ელექტრომომარაგების მოწყობილობათა ტექნიკური</li> </ul>									
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<p>მომსახურებისა და რემონტის ინსტრუქცია;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემა;</li> <li>• იცის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟისა და სწავლების ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კატალოგი;</li> </ul>									
<p>რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის პრაქტიკული პროექტი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამოუკიდებლად გეგმვს რკინიგზის ელექტრომომარაგების ელექტრომექანიკოსის პროფესიულ დავალებას</li> <li>• აფასებს რკინიგზის ელექტრომომარაგების ელექტრომექანიკოსის მიერ შესრულებული ამოცანის ანგარიშგებას.</li> <li>• დამოუკიდებლად ასრულებს რკინიგზის ელექტრომომარაგების ელექტრომექანიკოსის პროფესიულ ამოცანას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;</li> <li>• იცის მატარებლების მოძრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის ტექნოლოგიური ფანჯრების შეთანხმების და გამოყოფის ინტრუქცია;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელისა და ავტობლოკირების ელექტრომომარაგების მოწყობილობათა ექსპლუატაციისას</li> </ul>	✓		✓		✓				

		<p>უსაფრთხოების ტენიკის წესები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის საკონტაქტო ქსელის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის წესები;</li> <li>• იცის ელექტრიფიცირებული რკინიგზის წვევის ქვესადგურებისა და სასექციო პოსტების მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების ინსტრუქცია;</li> <li>• იცის რკინიგზის საკონტაქტო ქსელის რაიონის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის რკინიგზის წვევის ქვესადგურის მომსახურე პერსონალის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტენიკის ინსტრუქცია;</li> <li>• იცის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის სისტემა;</li> <li>• იცის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტენიკის ინსტრუქტაჟისა და სწავლების ინსტრუქცია;</li> </ul>									
--	--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კატალოგი;</li> </ul>																		
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

### 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 79 კრედიტის მოცულობით. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 90 კრედიტის დაგროვება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 17თვე <sup>1</sup>
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 22 თვე

<sup>1</sup> პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედ.
ქართული ენა A2	15
ქართული ენა B1	15
	30

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	2
2.	უცხოური ენა	3
3.	მეწარმეობა	4
4.	ინფორმაციული წიგნიერება	2
		11

პროფესიული მოდულები		
ბლოკი 1		
5.	საინჟინრო ხაზვა	5
6.	მეტროლოგია	3
7.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
8.	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4
9.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
10.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
11.	კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში	4
12.	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	4
ბლოკი 2		
13.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7
14.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარება	6
15.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვა	9
16.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურება	9
17.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი	8
18.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი	8
19.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის პრაქტიკული პროექტი	6
		<b>79</b>
<b>სულ</b>		<b>90</b>

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:**

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 79 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 116 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ

რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 116 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 146 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 26 თვე

<b>ქართული ენის მოდულები</b>	
<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
01 ქართული ენა A2	15
02 ქართული ენა B1	15
	<b>30</b>

<b>ინტეგრირებული მოდულები</b>	
<b>მოდულის დასახელება</b>	<b>კრედიტი</b>
1. კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8
2. მათემატიკური წიგნიერება	7
3. მეცნიერება და ტექნოლოგიები	6
4. მოქალაქეობა	6
5. სპორტი	2
6. ესთეტიკა	1

	30
--	----

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		კრედიტი
7.	უცხოური ენა	3
8.	მეწარმეობა	4
		7

პროფესიული მოდულები		
ბლოკი 1		
5.	საინჟინრო ხაზვა	5
6.	მეტროლოგია	3
7.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
8.	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4
9.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
10.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
11.	კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში	4
12.	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	4
ბლოკი 2		
13.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7
14.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარება	6
15.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვა	9
16.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურება	9
17.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი	8
18.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი	8
19.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის პრაქტიკული პროექტი	6
		<b>79</b>
<b>სულ</b>		<b>116</b>

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
<b>ზოგადი მოდულები</b>			
უცხოური ენა	3		დისტანციური
მეწარმეობა	4		
ინფორმაციული წიგნიერება*	2		დისტანციური
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები*	2		
<b>პროფესიული მოდულები</b>			
<b>ბლოკი 1</b>			
საინჟინრო ხაზვა	5		
მეტროლოგია	3		
გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1	✓	
ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4		
საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2		
მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3		
კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში	4		
მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	4		დისტანციური
<b>ბლოკი 2</b>			

სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7		დისტანციური
რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარება	6	✓	
რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვა	9	✓	
რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების ტექნიკური მომსახურება	9	✓	
რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი	8	✓	
რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი	8	✓	
რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის პრაქტიკული პროექტი	6	✓	
<b>სულ კრედიტები</b>	<b>90</b>		

## 12. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

### **13. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 90 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 120 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 116 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 146 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

### **14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება





ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა ; Power supply of railways; (სარეგისტრაციო ნომერი - 07.18.1) მიხედვით.

16. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქრთველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ადაპტირებული მოდულები;
- სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებითა და მის გარეშე);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი		გრიგოლ ფრანგიშვილი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი		დავით ბანცაძე
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი		შოთა მარგიშვილი
		მანანა მოისწრაფიშვილი